№ 126
ივნისის 13, პარასკევი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 126
ივნისის 13, პარასკევი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

## სამკერვალო ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

**აქვე მიიღება შესაკერად**

## კაბა-ანაფორა

**და სხვა სასულიერო სამოსელი.**

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

მემამულეთათვის საყურადღებოდ.

მსურს ვიყიდო ქ. ტფილისის მახლობლად, არა უშორეს 20 ვერსისა, ან რკინის გზაზე სადგ. კასპამდის **მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწა,** 2—10 დესიატინამდის, ერთ ნაჭრად. ამ რიცხვში სარწყავი ადგილი არა ნაკლებ 1 დესიატინისა; გაყიდვის მსურველთ მოგვმართონ წერილით „ივერიის“ რედაქციაში, ი. ნ—ს.

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცდა ექვსი (46) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

46 ვაკანსიიდან—45 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არი არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანცელარიისაგან,** ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—30 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—2)

ექიმი

## ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-ღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

## კერძო სამკურნალო

**ექიმის მუსხელაშვილისა**

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჩიჩინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

**ზრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.**

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1 1/2 საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1 1/2 საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**გ. ხ. ლევი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7 1/2 საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7 1/2—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7 1/2—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-** (წლ.

# ტფილისი

✦ პროფესორმა ა. ს. ხახანაშვილმა მოსკოვიდგან ჩამოიტანა საუცხოვო სურათი ბატონიშვილის ნიკოლოოზ დავითის ძისა (მეფე თეიმურაზ I-ის ძე). ეს სურათი ძველს ალბომში ყოფილა დაცული იმ სხვა სამეფო გვამთა სურათებთან, რომელნიც სცხოვრობდნენ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძის დროს. ბატონიშვილს ნამდვილი ბაგრატიონთა იერი აქვს და ქართულად აცვია: ფარჩის ახალუხი დიდის, თითქო ძვირფასის თვლების ღილებით, ოქრომკერდისა ანუ ხალასის ოქროს ქამრით და ყოშებიან კაბით, რომლის საყელო და ყოშები შემკულია ბეწვეულით. ხოლო კაბის სახელოები წინ კი არ არის დაშვებული, არამედ ზურგისკენ. სურათს გარს მოხდენილი არშია აქვს შემოვლილი. ნამდვილი სურათი, რომელიც ალბომშია, დაფერადებულია თურმე და იქ უფრო გარკვევითა სჩანს ყველა სამკაული. ფოტოგრაფიული სურათიც სასიამოვნო და საყურადღებო სანახაობაა. კარგი იქნება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ფოტოგრაფიამ გადიღოს ეს იშვიათი სურათი, მრავალი გაიყიდება. ზემოხსენებულს ძველს ალბომს, რომელიც მოსკოვში ინახება, „ტიტულიარნიკი“ ეწოდება.

✦ ქართველ თავად-აზრაურობამ, როგორც მოხსენებული გვქონდა, მიიპატიჟა სადილად მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ნ. პ. ტრუბეცკოი ერთს ვერის ბაღში. სადილი დიდხანს გაგრძელდა. როგორც სტუმარმა ისე მასპინძლებმა მრავალი გრძნობიერი და საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვეს რუს-ქართველთა ერთობაზე. ღამის ორ საათზედ თავ. ტრუბეცკოი მხურვალედ გამოეთხოვა მასპინძლებს და სამხედრო გზით რუსეთისაკენ გაემგზავრა. თავად-აზნაურობამ კარგა მანძილზე გააცილეს.

✦ აი რას იწერება ვენიდან ჩვენი არტისტი ვლ. ალექსი-მესხიშვილი:

„ეხლა ჩემს ამბავს შეგატყობინებთ: 126 მეტ-ხორცი ამომიჭრეს, მადლობა ღმერთს, ბოლო მოეღო ამ წვალებას! ოპერაციები გათავდა და ეხლა ხმის სიმების წამლობას შეუდგნენ. პროფესორი ხიარი დარწმუნებით ჯერ არას მეუბნება ხმის სრულიად დაბრუნებისას, თუმცა გაუმჯობესობა ეხლაც მეტყობა; ის ქშენა და ძალდატანებული სუნთქვა, რომ მქონდა სიზმარივით გაჰქრა, ეხლა ფეხით შემიძლიან სიარული, დაუღლელად, რამდენიმე საათი, აგრეთვე დაუღალავი და ხანგრძლივი ლაპარაკი შემიძლიან. ხმა მომემატა, მაგრამ ჯერჯერობით ძალიან არ არის დაწმენდილი, სრული იმედი მაქვს, რომ ხმა გამიუმჯობესდება. პროფესორი ამბობს, რომ დიდი ხნის უმუშაონი იყვნენ ხმის სიმებიო და ამიტომ დასუსტებულნი არიანო. ეხლა მიბრძანა ხმა-მაღლა ვილაპარაკო ხოლმე და რამდენადაც შემიძლიან ვიმღერო, რომ შევაჩვიო ხმის სიმები. მალე დამჭირდება ფული პროფესორისათვის და რომ მომრჩება აქ წამლობას, სადმე კურორტზედ გამგზავნის, იქნება პიატიგორსკში ან აბასთუმანში, რადგანაც მთა ადგილია, ამას მე თითონ ვთხოვ, თუ ამისრულა, თუ არა და ტიროლში წავალ ერთი თვით. დღეში 12 მანეთი მიჯდება, რადგანაც საოპერაციო ვიზიტებში 12 გულდენს ვაძლევ პროფესორს. ეხლა პროფესორისა მმართებს კიდევ 300 მანეთი.

✦ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: ბათუმის ქართული სკოლის უფროსი მასწავლებელი ბ-ნი რამიშვილი გადაიყვანოს ამავე თანამდებობით კავკავის სკოლაში, ხოლო ბ-ნი ბოცვაძე, კავკავის სკოლის უფროსი მასწავლებელი, —სხვაგან იქმნება გადაყვანილი.

✦ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელთან არსდება საფუტკრე, რომელიც კ. ი. სტრუმილოს კუთვნილება იქნება, ხოლო იმ პირობით, რომ სასწავლებელს შეუძლიან გამოისყიდოს, როცა მოისურვებს. ბ-ნი სტრუმილო მოვალეა ასწავლოს საბაღოსნო სკოლის შეგირდებს მეფუტკრეობა და თავის ხარჯით შეიძინოს მანქანა და მოწყობილობა, რაც ფიჭის კეთებას მოუნდება. სასწავლებლის გამგე და ბ-ნი სტრუმილო ამ დღეებში შეასრულებენ ხელ-შეკრულობის ქაღალდს.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ხილეული და ბოსტნეული, რომელიც დიდს ხანს არ ინახება, მგზავრთა მატარებლით იგზავნებოდეს.

✦ გერმანელი მოგზაური ვილლი რიკმერრიკმერსი, რომელიც კავკასიაში იყო 1896 წელს, კიდევ აპირობს თურმე აქ მოგზაურობას, ამ თვის ბოლოს ჩამოვა თავის ამხანაგებით ტფილისს და მერე მოივლის კავკასიას და განსაკუთრებით სვანეთს.

✦ რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოება ჰგზავნის კავკასიაში თავის წევრს-თანამშრომელს საიმპერატორო ბოტანიკურის ბაღის მომწყობს ნიკოლოზ ადოლფის ძე ბუშსა, რომელსაც აქაურის მცენარეების შესწავლა მოუნდომია და ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის დათვალიერება განუზრახავს.

✦ ქალაქის განათების საქმე ჯერ კამათობას ვერ გასცილებია. 10 ივნის ქალაქის გამგეობამ და ხმოსან-ტეხნიკებმა ერთად განიხილეს თავ. ჩოლაყაშვილის მიერ წარდგენილი პროექტი ხელშეკრულობისა გაზით განათების შესახებ, ხოლო ვერ შეთანხმდნენ რა ფასად მისცენ თავ. ჩოლოყაშვილს იჯარა. ამავე დროს ლაპარაკი აღიძრა თავ. გურამიშვილისა და ბ-ნ სპიროს პროექტზედაც, რომლოებსაც სურთ ქალაქი გაღვიებულის ნავთით გაანათონ. ხოლო ქალაქის მოურავი არას გზით არა თანხმდება, რომ ქალაქის განათება იჯარით გაიცეს; ამას გარდა ყველა ამ პროექტების წინააღმდეგია, რადგანაც ქალაქის საბჭოს ელექტრონითა სურს განათება. საბჭოს ხმოსანი ინჟენერი ფლორენსკი ქალაქის მოურავის თანამოაზრეა და სხვა პროექტების განხილვაში მონაწილეობას არ იღებს.

✦ ინჟენერს ა. ა. მელიქ-ბეგლიაროვს შეუდგენია იმის პროექტი, თუ როგორ უნდა მოეწყოს სცენა ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლში. ეს პროექტი უნდა განიხილოს სიფხიზლის საზოგადოების გამგეობამ და განსაკუთრებულმა სათეატრო კომისიამ, მცოდნე კაცთა მონაწილეობით.

✦ იმ კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს, რა გზით შეიძლება მილის წყლის მოწყობილობის გაუმჯობესობა, რომ ქალაქს კარგი და საკმაო წყალი ჰქონდეს, გაათავა გამოკვლევა და თვისი მოხსენება გუშინ ქალაქის გამგეობას წარუდგინა.

✦ განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა მტკვარზე ახალის ხიდის გადების პროექტი, მუხრანის ქუჩისა და რიყის გასაერთებლად, და თვისი მოხსენება ქალაქის გამგეობას წარუდგინა. როგორც ამბობენ, ამ პროექტს ქალაქის საბჭო მალე განიხილავს.

✦ წრეულს ფერშლის სასწავლებელში, სწავლა დაამთავრეს ცხრა კაცმა, მათ შორის სამი ქართველია: ვ. კარაზაშვილი, ვ. დალაქაშვილი და ვ. შარაშენიძე.

✦ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელს ამ ბოლოს დროს ბევრნი ანებებენ თავს სწავლის დასრულებამდე, სამხედრო ბეგრის გადასახდელად. ამ არა სასიამოვნო გარემოების მიზეზი ის არის, რომ სასწავლებლის პირველ კლასში, წესდების ძალით, შესვლა შეუძლიან 16 წლის ყმაწვილს. სასწავლებელში ოთხის წლის კურსია. იმიტომ მოსწავლენი ვერ ასწრებენ დამთავრებას, რადგან ხშირად მოსწავლე ერთ და იმავე კლასში რჩება, ხანი გადის, უსწრობს 21 წელი და ბავშვი სასწავლებლიდგან გადის. გუშინ, 11 ივნისს, სასწავლებლის დირექტორმა პობედიმოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას ნება დართოს, რომ სახელოსნო სასწავლებლის პირველ კლასში 12—15 წლის ყმაწვილები მიიღოს.

✦ სასამართლოს პალატამ განიხილა საქმე რაისა და ნატალია კონსტანტინეს ასულთ პლუშჩევსკებისა, რომელნიც თავ. კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონს 99,000 მანეთს ედავებოდნენ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ოლქის სასამართლომ თამასუქი ყალბად იცნო და პლიუშჩევსკის მემკვიდრეებს სარჩელზე უარი გამოუცხადა. პალატამ საქმე განიხილა 30 მაისს; მაგრამ განაჩენის გამოცხადება გადასდო 11 ივნისისათვის. ამ დღეს პალატამ გამოაცხადა განაჩენი. პალატამ გადასწყვიტა; 1) დაინიშნოს ხელახლად ექსპერტები იმის გამოსაკვლევად, საბუთის ქაღალდზე თავ. ივანე კონსტ. მუხრან-ბატონს უწერია ხელი თუ არა; 2) დაინიშნოს ქიმი-

კოსთა საექსპერტო კომისია, რომელმაც ქიმიურად უნდა გამოიკვლიოს, ერთსა და იმავე დროს დაიწერა თამასუქი და მოეწერა ხელი თუ არა; რომელია წინ დაწერილი და რამდენი ხანია გასული ერთიდან მეორის დაწერამდე; 3) ექსპერტების ამორჩევის ნება მიეცეს მომჩივან-მოპასუხეთ, რომელთაც თავიანთი ექსპერტები პალატას უნდა დაუსახელონ 12 ივნისიდან ერთის თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხნის განმავლობაში ექსპერტები ვერ აირჩიეს და ვერ შეთანხმდნენ, მაშინ პალატა დანიშნავს ექსპერტებს და 4) ხარჯი ქიმიურად ნაწერის გამოსაკვლევად დაეკისროს მოპასუხეს, ხოლო კალიგრაფიულად ნაწერის გამოსაკვლევად—მომჩივან-მოპასუხეს.

## ადრესი,

რომელიც მიართვა პეტერბურგის ქართველობამ უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ალ. ს. ხახანაშვილს.

ადრესი მიართვა ქართველობამ იმ ღვაწლისათვის, რომელიც ბ-ნმა ალ. ხახანაშვილმა გასწია, რომ დაეარსებინა მოსკოვის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიისა და სიტყვიერების კათედრა. როცა საქმე განხორციელდა, და კეთილად დაგვირგვინდა, ბ-ნ ხახანაშვილის გამრჯელობითა და თავგამოდებულის მეცადინეობით, მადლობელმა ქართველობამ პეტერბურგისამ გააკეთებინა ძვირფას ყდაში „ვეფხვის-ტყაოსანი", ერთ-ერთ ქიმში გაუკეთა ლითონის ფირფიტა შესაფერის ქართულის ზედ-წარწერით და თარიღის აღნიშვნით და მოამზადა ადრესი, რომელსაც აქა ვბეჭდავთ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ იმ ადრესმაცა და ამ წიგნმაც დიდი ვაი-ვაგლახი გამოიარა სრულიად შემთხვევით, ორი წელიწადი იმგზავრა აქეთ-იქით და ეძება ის კაცი, ვისაც უნდა ჩაჰბარებოდა, რომ მერე გადასცემოდა დანიშნულებისამებრ. ძლივს ამ ხუთის დღის წინად, როცა ბ-ნი ხახანაშვილი ჩამოვიდა მოსკოვიდან ტფილისს, ის წიგნიცა და ადრესიც გადაეცა პატივცემულს პროფესორს.

აი თვით ადრესი:

**დიდად პატივცემულო პროფესორო,**

ალექსანდრე სოლომონის ძევ!!

ჩვენს დაბეჩავებულს ცხოვრებაში ძნელად თუ დაჰკრას სანეტარო ჟამმა, რომელსაც ძალუძდეს გამოაღვიძოს მიჩუმებული მაჯა ჩვენის ეროვნულის თვით-შეგნებისა და შეაყენოს იგი სასურველ გაწაფვის გზაზე. მრავალგზის გულგატეხილნი—მით უფრო მეტის თანაგრძნობით და სანუგეშო გულის თქმით ვეგებებით ქართული ისტორია-სიტყვიერების სანიმუშო კათედრის დაარსებას რუსეთის უძველეს უნივერსიტეტში. ეს მრავალ-მნიშვნელოვანი და მარად სასიქადულო მოვლენა არ საჭიროებს დაწვრილებით განხილვას, იგი თავით თვისით ცხადზედ უცხადესად ჰღაღადებს, რომ მუხლადი ნაბიჯი გადადგა წინსვლისა ჩვენმა ეროვნულმა თვითარსებობამ და გამარჯვება არა-ჩვეულებრივი მოიხვეჭა თვისდა გასამტკიცებლად. მეცნიერების ტაძარმა თვისი პირუთვნელი კვლევა-ძიების კარი გაუღო ჩვენს ლიტერატურა-ისტორიას, რომლის შინაარსი სავსებით მეტყველებს არა ერთ ზოგად-კაცობრიულ მოვლენას. ამიერიდგან ჩვენი ავლა-დიდება ერთხელ კიდევ გვერდში ამოუდგა საუნივერსიტეტო დანარჩენ საგნებს და იქნება ჯეროვან მხარის დამშვენებლადაც შეიქმნეს იგი თავის დროზე.

მეცნიერული განხილვა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ, მაგრამ ჩვენდა არსებითად ხელსაყრელ ისტორიულ ფაქტებისა, ნათლად დაგვანახვებს, რომ არც ისე იშვიათად გვწვევია იგი შარავანდედი, რომელიც თამამად გვაძლევს უფლებას ვამაყოფდეთ წარსულით და წარბშეუხრელად თვალი გავუსწოროთ მომავალს. თვით საამდროვო ცხოვრების კრიტიკული შესწავლა ხელთ მოგვცემს ბევრ საჭკვისამჭირდესო საზრისს და მით გაგვიადვილებს დათგრუნვას აწინდელ ბედშავ გადასავლისას.

ვიმედოვნებთ, რომ დიდებული ძალა უნივერსიტეტისა და აუდიტორია, თქვენის ნაწრთობის და მზრუნველის ხელით გაწაფული, გამოიტანს ქვეყნად ჩვენს ცხოვრებას; მით ცხოველ-მყოფლად გამოაბრუნებს იგი ჩვენს მიძინებულს თვითშეგნებას და მარჯვე კაპს ამოსდებს ჩვენის დიდების ყპად-ამღებლებს, რომელთაც იმთავითვე დაბალ ლობედ მივაჩნივართ და დღემუდამ ცდილობენ ქართველის სახსენებელი აღგავონ ამ ქვეყნად და მსუბუქ ჩალასავით ნიავ-ქარს გაატანონ.

ერთი სიტყვით გადადგმულია წინ კიდევ ერთი ნაბიჯი მტკიცე და ჩვენდა საგულისხმიერო, და ამ მხრით სამარადისოდ მადლობელნი უნდა ვიყვნეთ თქვენი, პატივცემულო პროფესორო. ყოველჟამ გამსჭვალულმა ჩვენის ცხოვრებით, მუდამ ფხიზლად მზრუნველმა ჩვენ მისწრაფებათა ხელსაყრელ განხორციელებისათვის,—თქვენ მიაღწიეთ ამ საშვილიშვილო გამარჯვებას და ერთხელ კიდევ სხვათა სამაგალითოდ დაამტკიცედ, რომ გულწრფელი სურვილი და დაუზარებლობა სამშობლოსადმი სამსახურისა ღონემოსილია, დასძლიოს ყოველივე დაბრკოლება და მიაღწიოს საშვილიშვილო სულთა სწრაფვას.

სამეცნიერო ასპარეზზე უკვე ნაცადი თქვენი მოღვაწეობა, მუხლადი ენერგია და აგრეთვე კვერთხი საეროვნო გულის ნადებისა, რომელიც ხელთ გიპყრიათ მარჯვეთა და შესაფერად, დაბეჯითებით გვითავმდებებს, რომ მეცნიერების და სამშობლოსადმი თქვენებური სიყვარულით ეცდებით, თქვენისავე მეოხებით დიდებულ სანდო ქვაკუთხედს მოყვეს სანდოვე შენობა, შემკობილი ღირს-სახსოვარ წარწერით: ქართველს უფლება აქვს თავი მოიწონოს წარსულით, ნუგეში იცეს აწმყოში და იქონიოს იმედი მომავლისა.

მიიღეთ კადნიერი სალამი თქვენდა და მარადის პატივისცემა თქვენის მოღვაწეობისადმი. გისურვებთ დღეგრძელობას და ღონის შეწევნას, რათა სასახელოთ და საბედნიეროთ ჩვენი საყვარელი სამშობლოისი დააგვირგვინოთ თქვენი უანგარო და ნაყოფიერი ჭირნახული...

1901 წელი,
1 იანვარი,
პეტერბურგი.

ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი, სპირიდონ სიმონის ძე ვირსალაძე, ვასილ მიხეილის ძე ქიქოძე, ბიქტორ ანდრიას ძე კანდელაკი, ივანე თედორეს ძე ნიჟარაძე, მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანი, ლუკა ლუკას ძე ბახტაძე, როზა ფიცხელაური, გიორგი გაბრიელის ძე ფიცხელაური, კონსტანტინე მინას ძე ჩარკვიანი, ფელიქს ივანეს ძე გასნევსკი, ლავრენტი თედორეს ძე რევიშვილი, სოფიო გრიგოლის ასული მამრაძე, პეტრე გრიგოლის ძე მამრაძე, მიხეილ პეტრეს ძე იუზბაშაშვილი, ვარლამ ანდრიას ძე კანდელაკი, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე შატილაშვილი, პოლიკარპე კონსტანტინეს ძე იოსელიანი, გრიგოლ პლატონის ძე დადიანი, იასონ ვარადებულის ძე აფაქიძე, პოლიევქტ ნიკოლოზის ძე შატილაშვილი, გიორგი ეარამანის ძე მგელაძე, ნინო ეარამანის ასული მგელაძე, სამსონ იოსების ძე კანდელაკი, ილია დამიტრის ძე ქარცივაძე, დავით კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი, კონდრატე გრიგოლის ძე ასათიანი, ვარლამ ლევანის ძე გელოვანი, მიხეილ ლუკას ძე ავალიანი, გიორგი ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, სიმონ სიმონის ძე მიქელაძე, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კირთაძე, პეტრე გრიგოლის ძე უზნაძე, ვლადიმერ მამუკას ძე თურქია, ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ხანეიშვილი, ალექსანდრე მელიტონის ძე მიქელაძე, რაისა ჯირკველოვი, გერასიმე სიმონის ძე ქიქოძე, გიორგი პეტრეს ძე გეგელაშვილი, გიორგი გიორგის ძე ქართველიშვილი, ნინო ანტონის ასული ხატროშვილი, ზაქარია გიორგის ძე ჩიჩუა, პეტრე პავლეს ძე გელეიშვილი, ნიკოლოზ დიმიტრისძე მგელაძე, ოლღა დიმიტრის ასული ყაზბეგი, ანნა დიმიტრის ასული ყაზბეგი, იოსებ ივანეს ძე მაჭავარიანი, დიმიტრი სულუხია, ანასტასია ივანეს ასული მასენკო, ალექსანდრე სტეფანეს ძე ჭრელაშვილი, ვლადიმერ ხადარეიშვილი, ევგენი ინდოშვილი, ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძე, დავით დიმიტრის ძე მგელაძე, არჩილ ტარიელის ძე ფალავანდიშვილი, მელიტონ ანტონის ძე ბალახჩივაძე, ნიკოლოზ იოსების ძე შარაშიძე, ანნა სპირიდონის ასული ქუთათელაძე, კლიმენტი ლომიძე, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ხარაზაშვილი, ისიდორე ოქროპირის ძე ბერიძე, სიმონ არჩიპოზის ძე ყორყოლაძე, როსტომ დიმიტრის ძე არწივი, ივანე ივანეს ძე ქუთათელაძე, დიმიტრი ვასილის ძე შაუაშვილი, ილია ვასილის ძე შაუაშვილი, ბარნაბა გიორგის ძე გამსახურდია, გიორგი ალექსის ძე ყაზახაშვილი, ექვთიმე დავითის ძე სულაქველიძე, ირაკლი ჭონქაძე.

## ქართულს ენაში რუსულ სიტყვების ხმარება.

რამდენადაც წინ მიდის დრო, იმდენად ქართულ ენას თანდათან ეკარგება თავისი ძველი ელფერი, თავისი შნო და გრამმატიკული ფორმები; ამ უკანასკნელად, ჩვენდა სამწუხაროდ, ისე ქართულ მოლაპარაკეს ვერა ჰხედავ, რომ რამდენიმე რუსული სიტყვა არ ჩაურიოს შიგ და ისიც უშნოდ და დამახინჯებულის კილოთი; განსაკუთრებით-კი ამ მოვლენას ვამჩნევთ მდაბიო ხალხის ახალგაზრდობაში; მაგალითად, როცა უნდათ სთქვან „მასწავლებელი" ამბობენ „უჩიტელი", მოსწავლის მაგიერად „უჩენიკი" და სხ.: „ტეტრადი", „პრისტავი", „უპრავლენიე", „უპრავა", „კანცელარია", „სტანცია", „მასტერი", „დაროჟნი მასტერი", „ვესოვშჩიკი", „კანტორჩიკი", „პოეზდი", „პასაჟირის პოეზდი", „ტოვარნი პოეზდი", „რაბოჩი პოეზდი", „სასტავიტელი", „ზაიავლენიე", „პრაშენიე", „სუდი", „სუდია", „კოპიო", „დავერიე", „უდასტოვერენიე", „პოვესტკა", „პივა", „ვოდკა", „ჩაინიკი", „კვარტირა", „პეპელნიცა", „მეშოკი", „კნიაზი", „კნიაჟნა", „გოროდი", „პაპეჩიტელი", „სტარშინა", „ახოტნიკი", „სელდო", „გარადსკოი გალავა", „უპრავლიაიუშჩი", „პაპაშა", „მამაშა", „კლადოვოი", „პაშოლ", „დურაკ", „პლატოკი", „გვოზდი", „კარზინა", „ვარენიე", „ჩაშკა", „პეჩი", „რასპისანიე", „პოლი", „ჩორნი პოლი", „პოვარი", „კუხნა", „კუხარკა", „პრაჩკა", „პაკრივალა", „პრასტინა", „რუბაშკა", „პრავილო", „ზაკონი", „კარტოჩკა", და სხვ. ამასთანავე ზოგიერთს სიტყვებს ისე დამახინჯებით ურევენ ქართულში, რომ არც ქართულია და არც რუსული,—აი მაგალითად: „მაზრის" მაგიერად ამბობენ „ვეზდი", „მაზის უფროსის" მაგივრად „ვეზდი ნაჩალიკი" და სხ. ამნაირად: „პოპოშნიკი", „სტანციის ნაჩალიკი", „ჟელეზნი დაროგა", „ნაჩალიკ დაროგა" (აქ აღარ იცის კაცმა, კაცია უფროსი, თუ გზა), „ნაჩალიკ დვიჟენიე", „სტრელჩიკი", „ჩინოვნიკი", „პრიამათ მივდივარ", „ატვეჩაის მივცემ", „პაკრაიმერე", „ზავოჩრეშენიე", „ატკოც(ს)ი", „კაშკა", „ლაფართქა", „სტოლობა", „გულაობა", „ვიგულავე", „კნიგა", „კნიშკა", „დინეიკა", „ნიჩავო", „ტალია(რ)ქი", „რუმკა" და სხვა ათასი...

მკითხველი მიხვდება, რომ ეს სიტყვები არც წმინდა ქართულია და არც წმინდა რუსული; ეს სიტყვები, რასაკვირველია, უფრო რუსულსა ჰგავს, მხოლოდ დამახინჯებულია; როგორც ჩვენა გვწყინს, არ გვესიამოვნება ჩვენის, სამშობლო ენის დამახინჯება და ჯვარცმა, უთუოდ არც განათლებულ რუსს უნდა ესიამოვნოს მისის ენის დამახინჯება. ამისათვის საჭიროა ქართულ ენას მიექცეს დიდი ყურადღება, როგორც განათლებულ ქართველებისაგან, ისე განათლებული რუსებისაგანაც, მაშინ ქართული ენაც გაუმჯობესდება და სახელმწიფო ენაც გადურჩება თავის დამახინჯებას...

ჩემის ფიქრით, თუ არაფერი მოვუხერხეთ, რამდენისამე ათეულის წლის შემდეგ, მოსალოდნელია უფრო მეტიჩარების წყალობით ისე აირ-დაირიოს ერთ მანეთში ეს ორი ენა, რომ მათი გამოწვლობა და გამოცნობა ერთი ერთმანეთისაგან ძალიან ძნელი შეიქნება და [illegible] ენის შერევნას მოგვაგონებს...

ამ ორის ენის არევა ერთმანეთში, ჩემის აზრით, გამოწვეულია ბ-ნ ლევიტსკის „მუნჯურ" მეთოდით რუსულის ენის სწავლების გამო და ქართულის ენის შემცირებით ჩვენს სახალხო სკოლებში; მუნჯურ მეთოდით შესწავლილს რუსულს სიტყვებს ბავშვები უაზროდ გაუგებრად ითვისებენ, ცოტად თუ ბევრად იხსომებენ; სკოლის დასრულების შემდეგ ზოგი ქალაქის სასწავლებლებში შედის, სადაც რუსულ ენას კარგად სწავლობს. უმეტესი ნაწილი-კი სიღარიბისა და დაუდევრობის გამო სხვაგან არსად შედიან სასწავლებელში და, გაათავებენ თუ არა სახალხო სკოლებს, უნდა შევიდნენ სადმე ძალაუნებურად მცირე სამსახურში; ან რკინის გზაზე (დამის ყარაულად და მესარეთ, ან და სოფლის სასამართლო დაწესებულებაში, და სასამართლოში იასაულად და ჩაფრათ და სხვაგან,—აი სწორედ ეს უკანასკნელები თუთიყუშივით გაზეპირებულ რუსულ სიტყვებს ურევენ ქართულ ენაში; ამათგან კიდევ სხვები სწავლობენ, სხვებისაგან კიდევ სხვები და ათასნაირად გადაჭედილი და დამახინჯებული სიტყვები შემოაქვთ ხმარებაში. ზოგიერთებს ასეთ სიტყვების ხმარება ისე გასჯდომიათ ძვალსა და რბილში, რომ ნამდვილი ქართული სიტყვები ჰგონიათ და ამნაირად „აირია მონასტერიო" რომ იტყვიან, ისე ემართება ჩვენს ქართულ ენასაც. ამ ვაჟ-ბატონების წამხედურობით, ჩვენდა სამწუხაროდ, რაღაცა დაუდევრობით, თუ მეტიჩრობის გამო ზოგიერთი განათლებულს ქართველსაც-კი ემჩნევა ეს ნაკლი ქართულს ენაში. ამ სტრიქონების დამწერს კარგათ მახსოვს, რომ 10—15 წლის წინად არც ერთი ზემო ნათქვამი გადამახინჯებული რუსული სიტყვა არ იყო ხმარებაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებში გაძლიერდა ლევიტსკის მუნჯური მეთოდი, დაიწყეს რუსული სიტყვების ხმარებაც ქართულში, რაიც აიხსნება, სხვათა შორის, იმ გარემოებითაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, ანუ ტფილისის გუბერნიაში ისე არ არის დამახინჯებული და ჯვარცმული ქართული ენა, როგორც დასავლეთ საქართველოში..

მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

## ჩვენებური ამბები

**ახალ-სენაკი.** 9 ამ თვეს, სოფ. ნოსირში (სენაკის მაზრაშია), ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა. ქუთაისელი ცნობილი ვაჭარი გ. კიზირია, თავის სახლის აივანზედ, საღამოს ათ საათზედ ესაუბრებოდა ერთს თავის ნაცნობსა. ამ დროს მახლობლად ხეებით დაფარულ ბაღიდან უცებ თოფმა იგრიალა და გ. კიზირია იქვე უსულოდ იატაკზედ დაეცა. განსვენებულმა იმ წამსვე სული განუტევა. ტყვია თურმე თავში მოხვედრია. დამნაშავის აღმოჩენას შეუდგნენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ. ამ ამბავმა ყველა დიდად

---

# ფელეტონი

## ცოტა-რამ ისტორიის ფილოსოფიისა.

(დასასრული *)

რა ამოძრავებს კაცობრიობას? რა არის აზრი პროგრესისა? რა არის ის ღერძი, რომლის გარეშეც ტრიალებს ცხოვრება თავის პროგრესიულ სვლის დროს? ეს არის მოთხოვნილებანი კაცისა, როგორც უბრალონი, აგრეთვე მაღალნი, კეთილშობილნი: მოთხოვნილება სმისა და ჭამისა, შრომისა და მოსვენებისა, ჯანმრთელობისა, სქესებრივი, სახელოვნო (художественный) და სამეცნიერო.

ამ მოთხოვნილებათ ემსახურება ყოველივე. ყოველსავე ამ მოთხოვნილებათა ძალი აძევს. რაც იმათ ეწინააღმდეგება, ინგრევა; რაც ხელს უწყობს, იზრდება, განვითარების გზას ადგია. კაცობრიობა ეძებს ბედნიერების და სძლევს ბოლოს-და ბოლოს ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც წინ ეღობება მის საწადელს.

ევოლიუციის კანონს თან ახლავს, როგორც ბუნებაში, აგრეთვე საზოგადო ცხოვრებაში კანონი ბრძოლისა არსებობისათვის. ბუნებაში უკეთესი ცხოველები და მცენარეები ებრძვიან და სძლევენ უარესებს. უკეთესთა გამრავლება და უარესთა გადაშენება, აი, შედეგი ამ დაუზოგავის ბრძოლისა და თან მიზეზი განვითარებისა. საზოგადო ცხოვრებაშიაც სასტიკი სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაა სხვა-და-სხვა ვითარებას შორის. ახალი აზრი ებრძვის ძველ აზრს, ახალი იარაღი—ძველ იარაღს, ახალი საზოგადო ორგანიზაცია ძველ ორგანიზაციას. ის, რაც უკეთ აკმაყოფილებს საერთო მოთხოვნილებას, იმარჯვებს. ყოველივე დრო-გადასული, დაძველებული იღუპება, კვდება.

ძველი აზრი ახალ აზრს აგრე ადვილად არ უთმობს ადგილს. ეს ბრძოლა აზრთა შორის სასარგებლოა და საჭირო მეცნიერების განვითარებისთვის, რადგან აზრთა ერთმანერთ შორის შეხლისაგან იბადება ჭეშმარიტება.

ეს-კი არი, რომ, თუ ძველის აზრის მომხრენი ფანატიკოსები არიან, განგებ იბრმავებენ თვალებს, არ ეძებენ ჭეშმარიტებას და სძაგთ ახალი აზრი მხოლოდ იმიტომ, რომ ახალია, ამგვარი წინააღმდეგობა ძველებურ მოაზრეთა,—თუ შეიძლება მოაზრეები ვუწოდოთ,—ძლიერ მავნებელია მეცნიერებისათვის. ამის დასამტკიცებლად მარტო ინკვიზიციის ისტორიაც კმარა.

რაც შეეხება იარაღთა ბრძოლას ერთმანერთს შორის, აქ, რასაკვირველია, რაც მალე დასძლევს ახალი იარაღი ძველს, უფრო უვარგისს, მით უკეთესია პროგრესისათვის. სამწუხაროდ, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, ძველი იარაღი აგრე ადვილად არ უთმობს ადგილს ახალს. ამიტომაც არის, რომ, თუმცა დიდი ხანია, რაც რკინის გზა მოიგონეს, დღემდის ბევრგან არ დაუკარგავს მნიშვნელობა ჯერ კიდევ ურემს. ძლიერ განვითარებულ საზოგადოებაშიაც-კი ვერ გაუძევებია განვითარებულ იარაღებს სრულად ძველებური იარაღი.

როგორ სწარმოობს ეს ევოლიუცია და ბრძოლა? თანდათანობის პრინციპს ემორჩილება თუ არა? ამ საგანზედ ჰოც შეგვიძლიან ვსთქვათ და არაც. ბუნებაში თანდათანობაც არის და კატასტროფებიც. ბიოლოგიაში მეფობს პრინციპი თანდათანობისა. ბრძოლა ცხოველთა და მცენარეთა შორის არ შეიქმს უცებს ცვლილებას. უკეთესები ცოტ-ცოტათი, თანდათან იმარჯვებენ უარესებზე. ამ გამარჯვებისათვის ბევრი ათასი წელია საჭირო. ამიტომ ბუნებაში პროგრესსი ისეთის ნელის ნაბიჯით მიდის წინ, რომ ჩვენთვის შეუმჩნეველია.

კაცობრიობის ცხოვრებაში-კი ევოლიუციას თან ახლავს კატასტროფაც. როდესაც ევოლიუციის მეოხებით დაიბადება ახალი დიდი აზრი, ეს აზრი უეცრად სცვლის მთელს მეცნიერებას, სჩაგრავს ძველ აზრებს. ლავუაზიეს კანონმა, ნივთიერების გაუქრობელობის შესახებ, დიდი მღელვარება, დიდი კატასტროფა მოახდინა ქიმიაში. დარვინის თეორიამ ბუნებრივის შერჩევის შესახებ დიდი ქარიშხალი ასტეხა ყველა მეცნიერებაში. პასტერის აღმოჩენამ ცოფის წინააღმდეგ სრულიად ახალ გზაზე დააყენა სამკურნალო მეცნიერება. ორთქლმა დიდი რევოლიუცია მოახდინა მრეწველობაში. ამგვარი მაგალითი შეგვიძლიან მრავალი მოვიყვანოთ.

რაც შეეხება საზოგადო ორგანიზაციას, წესწყობილებას, იგიც იმავე კანონებს ემორჩილება, როგორც სხვა ფაქტორები. ტეხნიკა და მეცნიერება შეიქმს საზოგადო წეს-წყობილებას; თავის-მხრით საზოგადო წეს-წყობილება შეიქმს ტეხნიკასა და მეცნიერებას. აქაც წრეა და ზედ-მოქმედება ფაქტორებისა.

ამგვარად, საზოგადო წესწყობილების განვითარების მიზეზია: 1) საზოგადო—წეს-წყობილების წინანდელი მდგომარეობა და 2) მეცნიერების და ტეხნიკის განვითარება. ყველა ფაქტორი ერთად არის მიზეზი თვითოეულის ფაქტორისა და თვითოეული ფაქტორი არის ერთი მიზეზთაგანი ყველა ფაქტორისა.

საზოგადო წეს-წყობილების განვითარებაშიაც ორი ერთი მეორეს მოპირდაპირე პრინციპი ჰმოქმედობს: პრინციპი ევოლიუციისა და პრინციპი ბრძოლის.

ევოლიუცია საზოგადო წეს-წყობილებისა ის არის, რომ კოოპერაცია, თანამშრომლობა, მსხვილი წარმოება თან-და-თან იჭერს ინდივიდუალურ მუშაობისა და წარმოების ადგილს. მაგრამ ეს პროცესი მშვიდობიანად არ სწარმოობს, ბიოლოგიურ თან-და-თანობას უარ-ჰყოფს. მსხვილი წარმოება მომაკვდინებელ ბრძოლას უცხადებს წვრილ წარმოებას. ახალი მაშინა აუქმებს ძველ მაშინებს; ახალი დიდი წარმოება ჰკლავს ძველ პატარა წარმოებას. ერთის სიცოცხლე სულს უხუთავს, მძოვრად ჰხდის მეორეს.

როგორც ზემოდ ვსთქვით, საზოგადო წესწყობილებაც ეშესაბამება ტეხნიკის მდგომარეობას, თუ ვიცით, როგორია ტეხნიკა, შეგვიძლია გამოვიცნოთ, როგორია საზოგადო წეს-წყობილება. მეორე მხრით, თუ ვიცით, როგორია საზოგადო წეს-წყობილება, შეგვიძლია გამოვიცნოთ, როგორია ტეხნიკა. ეს შესაბამება იმისაგან წარმოსდგება, რომ საზოგადო წეს-წყობილება და საწარმოო ტეხნიკა ერთი-მეორეს ჰქმნის, ერთი მეორის მიზეზია.

რა უფრო ადრე ჩნდება? ახალი მაშინა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ახალი საწარმოო იარაღი, თუ ახალი კოოპერატიული ვითარება შრომისა, ახალი წარმოება? ორივე ერთად ჩნდება, რადგან, გაჩნდება თუ არა მაშინა, მისი მოხმარება შეუძლებელია, თუ მისი შესაფერი კოოპერატიული შრომა არ იქმნა მოხმარებული.

როგორც ზემოდ ვსთქვით, კოოპერაციის პრინციპს გარდა ჰმოქმედობს საზოგადო ცხოვრებაში აგრეთვე პრინციპი ბრძოლისა, ინდივიდუალიზმი. ამ ბრძოლაში თვითოეული ადამიანი ებრძვის ყოველ სხვა ადამიანს. ამას გარდა, სხვა-და-სხვა საწარმოვო გარემოებათა დაგვარად, ერთმანეთთან მებრძოლნი მწარმოებელნი შეერთდებიან ხოლმე ჯგუფებად, რომელნიც სხვა ჯგუფებს ებრძვიან. ბოლოს და ბოლოს მთელი საზოგადოება იყოფა რამდენსამე დიდ ჯგუფად, ანუ წოდებად, კლასად, რომელნიც აგრეთვე ერთმანეთს ებრძვიან. ეს ბრძოლა უხსოვარის დროიდან იწყება; მაგრამ ყველაზე უფრო ინტენსიურია ახლანდელ ევროპიულ განათლებულ საზოგადოებაში. ისტორიას არ ახსოვს მსგავსი მოძრაობა.

ეს ბრძოლა ხელს არ უწყობს წარმოების განვითარებას. ზოგიერთნი ისტორიკოსნი ამტკიცებენ, რომ ომი საჭირო იყო პროგრესისათვისაო. მე ვფიქრობ, რომ არა. რასაკვირველია, ამა თუ იმ ერისათვის ხშირად ომი საჭირო ყოფილა, მაგრამ საზოგადოდ კაცობრიობას ერჩივნა, რომ ომი არ ყოფილიყო. ინიციატორები ომისა ყოველთვის ჩამორჩენილნი ერნი ყოფილან. უფრო დაწინაურებული ერი მხოლოდ თავის დასაცველად ომობდა. მაშასადამე, ომს რაიმე საჭიროება კი არ მოითხოვდა, არამედ ომი ადამიანის ბარბაროსობის შედეგი იყო.

ომი რომ არ ყოფილიყო, კაცობრიობა უფრო განავითარებდა მრეწველობასა და მეურნეობას გამრავლებულ ხალხის სარჩენად.

იგივე შეიძლება ვსთქვათ შინაგან ბრძოლაზე თვითოეულ საზოგადოებაში. ფეოდალიზმის დროს რომ ფეოდალთა ბრძოლა ერთმანეთთან მავნებელი იყო ქვეყნისათვის, ამას დამტკიცება არ ეჭირვება. ზოგიერთნი ამბობენ, რომ ახლანდელი ბრძოლა კაპიტალისტებისა ერთმანეთ შორის, კონკურენცია, ძლიერ სასარგებლოა მრეწველობის განვითარებისათვისაო. მე მგონია, რომ კონკურენცია ბევრად უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო, რადგან კონკურენცია არის მიზეზი ხალხის სისაწყლისა და სიღატაკისა და თან უმეცრებისა. შეუძლებელია ხალხის სიღატაკე და უმეცრება სასარგებლო იყოს მრეწველობის განვითარებისათვის.

რაკი ერთხელვე საზოგადო კლასები გაჩნდა, მას უკან ბრძოლა აუცილებლად საჭირო შეიქმნა, თუმცა, როგორც ზემოდ ვსთქვით, კლასებად და დასებად დაყოფა საზოგადოებისა არასოდეს არ ყოფილა სასარგებლო, მაგრამ შრომის თვითოეულ კოოპერაციულ წესს შეესაბამება, შეეფერება ტეხნიკურის,

*) იხ. „ივერია", № 125.

შეაწუხა, ვინც-კი იცნობდა განსვენებულსა. იგი იყო წყნარი და დინჯის ხასიათის ადამიანი. როგორც ქუთაისში, აგრეთვე აქაც ყოველ საზოგადო საქმეში მონაწილეობას იღებდა...

ტრიფონ კალანდარიშვილი.

—

**დ. ხონი.** (მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ) შეგვიბრალა ღმერთმა და წელს კარგი მოსავალი მოგვცა პარკისა. ვისაც კი ცოტაოდენი ჰყავდა, ისიც ორი-სამის თუმნისას გაჰყიდის, რადგანაც წელს აქ პარკი ძალიან ძვირია, ფუთი 19 მანეთად იყიდება. იქნება კიდევ მოიმატოს.

მხოლოდ ამ ჩარჩებმა გააჭირვეს საქმე: გზებზე უხვდებიან და ისე აბრუნებენ თავიანთ სასწვრისკენ, ხალხსაც თითო-ოროლა კაპეიკს მეტს აძლევენ გირვანქაში, მაგრამ სამაგიეროდ კი წონა თავისებური აქვთ.

პარკი ჯერ ძალიან მცირედ შემოაქვთ. მიზეზი ისაა, რომ წელს თესლი ძალიან მცირედ იყო დარიგებული, შედარებით წინა წლებთან. მაგრამ რაც იყო ყველგან კარგი შეიქნა და არ გაფუჭებულა. უწინ დაარიგებდნენ უთვალავ თესლს კერძო კაცნი, და მესამედი საიმედო არ იყო: თუ გაასაღებდნენ, ხომ კარგი—თუ არა შემდგომ ათ შაურად და ორ აბაზად ჰყიდნენ კოლოფს სოფელ-სოფელ დატარებით.

ზოგი კი ჰხედავდა, რომ თესლი გაუყიდველი რჩება და ჭიაც გამოსვლას იწყებდა, მაშინვე ამ საშვალებას მიჰმართავდა, უფასოდ დაარიგებდა პარკის მოწევამდის, რომ შემდგომისთვის მიეტანა პარკის ფული და პარკი; რომ ამით უფრო ბევრს გამორჩენოდა საბრალო მეაბრეშუმეს ზოგან ნახევარ მოსავალს ისინი წაიღებდნენ ხოლმე; ბევრს მომვლელს შრომა ფუჭად რომ ჩაუვლიდა, მხოლოდ მაშინ დაიწყებდა წუხილს, ნეტავი ის კარგი თესლი მეყიდა ამხანაგობისაგან, ვიდრე ეს უვარგისი იაფადაო, მაგრამ გვიანდა იყო ხოლმე.

კარგს იზავდა, ამხანაგობას მოეტანა ბლომად თესლი და, თუ ფულს მაშინ ვერ აიღებდა, დაერიგებინა პარკის მოსვლამდის ამხანაგებისათვის. ამხანაგობამ როცა ბლომათ მოიტანა, ვერ გაასაღა და ყველას უფასოდ ვერ დაარიგებდა.

როდესაც ამხანაგობა სად თესლში ორ მანეთს ახდევინებდა, აგერ მის გვერდში, ვილაც ჩარჩი ათ შაურად ჰყიდდა კოლოფს. ასე იქნებაო წელს, ეგონა ბევრს მეაბრეშუმეებს. ორი მანეთი და ორ მანეთ ნახევარი წერეთელს რისთვის მივცე, როდესაც აგერ უფრო იაფად ვიყიდიო, მაგრამ ბევრს გაუცრუვდა იმედები და უთესლოდ დარჩა. ვინც კი ჩამოიტანა თესლი, რაკი დაატყო, წელს თესლი არ არისო, მანეთიან კოლოფში სამ მანეთს ახდევინებდა.

ამხანაგობას ამ საქმეში ბრალს ვერ დავსდებთ, რადგანაც მან ადრევე გამოაცხადა, თესლი შეიძინეთ, დროა ახლა, ნუ იცით, ფოთოლი რომ გამოვა ერთის თვის მერმე ყიდვაო, თორემ წელს იმდენ თესლს არავინ ჩამოიტანს, როგორც თქვენ გგონიათო, მაგრამ ბევრმა ამას ყური არ უგდო: როგორ? წერეთელმა თუ ჩამოიტანა, სხვა ვერ ჩამოიტანსო?!

მერმე ამხანაგობა „ცნობას“ არიგებდა ხონში, ვინც 20 თებერ. იყიდის თესლს—იყიდოს, თორემ მერმე ფასი მოემატებაო! მანამდი ამხანაგობა ძალიან მცირე ფასად ჰყიდდა, ასე რომ ხარჯსაც ვერ ჰფარავდა. ბევრი ამბობდა: ფული იყოს, თორემ თესლს ყველგან ვიშოვითო. თაფლი თუ იქნება, ბუზი ბაღდათიდანაც მოვაო. ფულს იხდიდა ორ წილს და თესლს კი ვერ შოულობდა.

მართალი სთქვა ერთმა ამხანაგობის წევრმა კრებაზედ წელს: საჭიროაო რომ გამგეობამ ენერგიულად მოჰკიდოს საქმეს ხელი და არ მისცეს ნება ჩარჩებს სოფელ-სოფელ თესლის დატარებისა, ამისათვის ამხანაგობამ უნდა შემოიღოს წიგნაკები, რომელიც სოფლებში უნდა მიეცეს მღვდელს, ან ვინმე კერძო კაცს, რომელიც გაიგებს, ვის რამდენი კოლოფი თესლი დასჭირდება, მსურველთ შეუძლიანთ მაშინ რამდენის მოვლაც შეეძლებათ, იმდენი დაიკვეთონ. ეს წიგნაკში ჩაინიშნება და გამოწერის დროს ამხანაგობას წარუდგენს. მაშინ ამხანაგობა აღარ იზარალებს, რადგანაც წინად ეცოდინება, რამდენის კოლოფის გასაღებაც შეუძლია.

ასოთ-ამწყობი.

—

# რუსეთი

უმაღლესად ნება დართულია 1904 წელს შესდგეს კონგრესი იმ მოღვაწეთა, რომელთაც მინდობილი აქვთ წყლის საქმე რუსეთში.

— 7 ივნისს პეტერბურგის სასამართლოში გაირჩა საქმე რკინის გზის საინჟინერო ინსტიტუტის პროფესორის ლიამინისა, რომელსაც ბრალდება პოლიციელის ანდრეევის სიტყვით და საქმით შეურაცხყოფა. როგორც ოქმიდგან სჩანს, ლიამინს დაუნახავს, რომ პოლიციელი არ უშვებდა საღამოს ბაღში როსკიპ ქალს. მივარდნილა ლიამინი პოლიციელთან, გაულახავს და დაუწყია ყვირილი მისთვის. შემდეგ წასულა პროფესორი ობუხოვის ხიდისკენ და სრულიად უმიზეზოდ გაულანძღავს მეორე პოლიციელი ლეშკევიჩი. ლიამინმა განაცხადა: მე არ შემეძლო გულგრილად ამეტანა პოლიციელის საქციელი, როცა ის მხეცურად ექცეოდა და სცემდა ახალგაზდა ქალს. ობუხოვის ხიდთან ასეთი სურათი დავინახე. ავღელდი მათის სიმხეცით და ამისთვის გთხოვთ ბ-ნო მოსამართლევ ლმობიერებით მომეპყრათო. პოლიციის საქციელის განხილვა პროფესორის საქმე არ არისო, განაცხადა მოსამართლემ და მიუსაჯა ლიამინს ათი დღით დაპატიმრება.

პროფესორი სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა და საქმე უმაღლეს სამჯავროში გადააქვს.

— **ირკუტსკი.** სასამართლოს პროცესებმა გამოაქვეყნა და დაამტკიცა, რომ რაც-კი ვაგონებიდან საქონელს იტაცებენ და იპარვენ, ყველა ამ ბოროტ-მოქმედებაში რკინის გზის მოსამსახურეებს პირველი ადგილი უჭირავთ. ირკუტსკის ოლქის სასამართლო გაარჩევს ამ მოკლე ხანში ერთ საქმეს, სადაც აღნიშნულია ვაგონის გაქურდვა, რომელშიაც 35,000 მანეთის საქონელი ყოფილა. ქურდობის მეთაური ერთი კონდუკტორი ბრძანდება.

**ოდესა.** „Юж. Обоз.“ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელზედაც 23 ავადმყოფი აწერს ხელს, რომლებიც ქალაქის საავადმყოფოს სიფილისიანთა განყოფილებაში არიან. წერილში მოყვანილია გულის შემზარავი უკანოვობა და უწესოებანი, რომლებიც გამეფებულა საავადმყოფოში. წერილში სხვათა შორის სწერია: „სადილი 12 საათზე შემოაქვთ. ძლიერ ცუდი სადილია. სუპი ამჟავებულია. ხორცის დაღეჭვა ყოვლად შეუძლებელია, ისე მაგარია. ხარშო ნარეცხს ჰგავს. პური ნახევარი გირვანქა, ისიც ძველის-ძველი, აპოსკებული. საღამოს 6 საათზე ვახშამი, მაგრამ ვაი ამისთანა ვახშამს—სადილზე უარესი! ჩაი მეტის მეტად მღვრია, ყველაფერს ჰგავს, გარდა ჩაისა. აბანო ყოველ დღეა, მარა 100 კაცისთვის ორი აუზია დადგმული. ყველა ვერც-კი ასწრებს, თუმცა ექიმი-კი უწერს აბავოს ყველას. უქმე დღეებში აბანო მოსპობილია თუ ვინმეს ბედნიერს ეღირსება აბანოში ყოფნა, მოსამსახურე კოჭამდე წყალს იძლევა, მთელი ტანის დაბანა შეუძლებელი ხდება. წყალი აბანოში 28 გრადუსი უნდა იყოს. ნამდვილად-კი ხან ძლიერ ცხელია, ხან მეტის მეტა ცივად. აბანო პირველი წამალია ჩვენთვის.

მოსამსახურეები ისე გვეპყრობიან, როგორც ტუსაღებს. საავადმყოფოს ზედამხედველიც ცუდად გვეპყრობა. შევჩივლეთ უფროს ექიმს, მარა არა გამოვიდა-რა.

— **კურსკი.** სტამბის მეპატრონეს ვაინს ბრალი ედებოდა „Кур. Газ.“ №2 მეთაური წერილი ცენზორის ნება დაურთველად ცალკე ფურცლებად რისთვის დაბეჭდეო. სასამართლომ გაამართლა ვაინი.

— პეტერბურგის უნივერსიტეტის ორ სტუდენტს ვერხოგლიადევსა და შევჩენკოს პოლიციელის შეურაცხოფა ედებოდა ბრალად. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო ბრალდებულნი.

— კიევის სასულიერო აკადემიის ბოლგარელ სტუდენტებმა მიიღეს მოწერილობა სოფიიდან, როცა ეგზამენები გათავდება საჩქაროდ სამშობლოში დაბრუნდითო. ბულგარიის მთავრობას გზის ფული გაუგზავნია სტუდენტებისათვის.

—

# უცხოეთი

**ავსტრია-უნგრეთი.** სელლის მაგივრად უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტად დანიშნული სტეფანე ტისსა ამ ახლო მომავალში შეადგენს კაბინეტსაო. მინისტრები უკვე სახეში ჰყავთ, მაგრამ არ იციან, ყველანი იქმნებიან მიღებულნი, თუ არა. მაგ., მერეკლეს უარი უთქვამს ფინანსთა მინისტრობაზე; იგი იმპერატორს მიეხმო და დიდხანს ებაასნა, რომ როგორმე დაეთანხმებინა, მაგრამ მაინც უარსაა. უეჭველია არც გრაფი აპონეი დასთანხმდება პალატის თავმჯომარეობასაო; მის მაგივრად პერჩელს ასახელებენ.

რაიცა შეეხება ტისსას პროგრამმას, როგორც თავად განუცხადებია, იგი არ გადაუხვევს პარლამენტარიზმის გზასა. ტისსა მეტად წინდახედულ პოლიტიკოსად ითვლება, და ალბად იმ გზასვე დაადგება, რომელსაც სელლი ადგა, მხოლოდ სხვა ღონისძიებას მიჰმართავსო; მის მაგივრად, რომ პასსივურად ეწინააღმდეგოს ობსტრუქციას, იგი აქტივურად იმოქმედებს და ეცდება არა მარტო ერთის ჯგუფის მიმხრობას, არამედ მთელის ლიბერალთა დასის გადაბირებას და ამისათვის მზადაა ბევრი რამ კიდეც დასთმოსო. ჰონვედთა მინისტრს ფეიერვარის, რომელიც ვენის სამხედრო კომისიის თავმჯდომარედაა, ისე შეუცვლია სამხედრო კანონ-პროექტი, რომ ყველა დასის გული მოუგია. არამც თუ ორის წლის სამხედრო სამსახურის ვადა იქნება შემოღებული, არამედ მადიართა ენაც ჯარებში სახმარებლად.

**საფრანგეთი.** ჯარებსაც მოუხდენიათ დემონსტრაცია კომბის ანტი-კლერიკალურ პოლიტიკის საწინააღმდეგოთ. ნანტის სამხედრო სასამართლოს ერთხმად გაუმართლებია ის ჯარის უფროსნი, რომელნიც გაგზავნილნი იყვნენ, რომ ძალდაძალ გამოედევნათ ერთის მონასტრიდგან ბერები, მაგრამ ძალადობა მაინც უხმარიათ. საყურადღებოა, რა ღონისძიებას მიჰმართავს კომბის მთავრობა.

**ოსმალეთი.** როგორც გაზ. „ნ. ფრ. პრეს.“-ს აუწყებენ სოლუნიდგან, ჩერვონოან, კოტიხანის მახლობლად ბულგარეთის საზღვრიდგან ნახევარ საათის სავალ მანძილზედ დაუჭერიათ 7 ყუთი და ორი ტომარა ნაღმი, ექვსი ტომარა მანლიხერის თოფის პატრონა, 107 რუსული თოფი, დეპეშის ორი აპარატი, რამდენიმე კილომეტრი მავთული და ცამეტი საათფთიაქო შუშა. ერთ ტომარაში აღმოუჩენიათ საბუთის ქაღალდები და უსკუბის მიდამოს რუკა, ათი ყულაბი აღმაფეთქებელ ნივთიერებით სავსე და დაწვრილებითი დარიგება, თუ როგორ უნდა ეხმარათ ნაღმი.

**ინგლისი.** ამ დღეებში სხდომა ჰქონდათ ოპოზიციის მეთაურებს და გადასწყვიტეს— ჯერ-ჯერობით არ წარუდგინონ პალატას თავისი დადგენილება, რომელიც ჰკიცხავს ჩემბერლენის საფინანსო გეგმას.

ამ გარდაწყვეტილებას იმიტომ დაადგნენ, რომ ამ ჟამად ოპოზიციას არა ჰსურს კამათი ასტეხოს ზემოხსენებულ საგნის შესახებ, რადგან პალატა უეჭველად ნდობას გამოუცხადებდა მთავრობას; ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ თვით ჩემბერლენის პოლიტიკის წინააღმდეგნი შიგ არიან გამოვლეულ იქმნეს ინგლისის ეხლანდელ საბაჟო პოლიტიკის ღირსება-ნაკლულევანებანი. მაგრამ ეს გარდაწყვეტილება ხელს არ უშლის ლიბერალთა მეთაურებს შეეხონ მთავრობის პოლიტიკას ბიუჯეტის განხილვისა და შაქრის კონვენციის კანონ-პროექტის საქმეში.

**სერბია.** გაზ. „ლოკ. ა“-ის ბელგრადელი კორესპონდენტი იუწყება,—რუსეთის ჟურნალ-გაზეთობის მიერ გამოთქმულმა აზრმა შეთქმულობის ყველა მონაწილეთა დასჯის შესახებ, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სერბიის სამხედრო წრეებშიო.

შეთქმულობაში მონაწილენი ნამდვილ მამულიშვილურად მოქმედობდნენო,—გაიძახიან ბელგრადში... იმ ღამეს მოჰხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: შეთქმულობას მოჰყვა ახალი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელსაც მთელი ქვეყანა ისე შეჰყურებს, როგორც სერბიის უკანასკნელ დროის დახლართულ საქმეების გამოსკვნილ ნასკვსაო.

როგორც იგივე კორესპონდენტი იუწყება,—ლეიტენანტი გრუიჩი, რომელიც ჟენევას გაგზავნილ პეტრე მეფის ამალაში იმყოფება, ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდეგ პირველი გამოვარდნილა სასახლიდან და დაუძახნია: „მეფე მოკლულ იქმნა, გაუმარჯოს ყარაგიორგევიჩს“-ო. ლეიტენანტი გრუიჩი—დესპან გრუიჩის შვილიაო.

გაზ. „ლოკ. ანზ.“-ის ჟენეველი კორესპონდენტი მოგვითხრობს იმ საუბრის შინაარს, რომელიც პეტრე მეფის მდივანთან ჰქონია. მეფის სადგომს დიდძალი კორესპონდენტები ახვევიან გარსა, მაგრამ მეფე თვით არავის არ ღებულობს მიმსვლელთ ესაუბრება მეფის მდივანი იოშა ნენადოვიჩი 5—10 წუთით, რადგან არა აქვს დრო ყველას დიდხანს ელაპარაკოს. ბერლინის გაზეთის კორესპონდენტმა ჰკითხა მდივანს: მართალია, რომ პეტრე მეფეს განზრახვა ჰქონდა სერბიის ტახტზედ უარი ეთქვა თავის უფროსი შვილის სასარგებლოდაო?“—„ეგ ამბავი,—უპასუხა მეფის მდივანმა,—სრული სიცრუეა; პეტრე მეფეს არ ჰქონდა მიზეზი აგრე მოქცეულიყო, რადგან შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ავსტრია და რუსეთი მას სცნობდნენ მეფეთაო. შემდეგ მდივანმა განაცხადა,—პეტრე მეფემ არაფერი არ უწყოდა შეთქმულთა მზადების შესახებ და რომ შეემჩნია რაიმე დიდის თავ გამოდებით ეცდებოდა, რომ სისხლის ღვრამდე არ მისულიყო საქმეო.

— „სკუპჩინამ აღუთქვა შეთქმულობის მონაწილეთ ხელშეუხებლობა და დაუსჯელობაო,—უთხრა კორესპონდენტმა,—ეხლახან-კი ევროპიულ ჟურნალ-გაზეთობამ ხმა გაავრცელა: ახალმა მეფემ იმ პირობით მიიღო არჩევანი, რომ შეთქმულობის ყველა მონაწილენი დაისაჯნენ სამშობლოდან განდევნითაო“?—„მაგისთანა პირობებისა,—უპასუხა მდივანმა,—ჩვენ არაფერი გვსმენიაო. ამორ-

---

მეხანიკურის მხრივ განსაკუთრებულ კლასთა ურთიერთობა. თუ ვიცით, როგორია წარმოების წესი, შეგვიძლიან გამოვიცნოთ როგორია კლასთა შორის ურთიერთობა, აგრეთვე, პირიქით, თუ ვიცით, როგორია კლასთა შორის ურთიერთობა შეგვიძლიან გამოვიცნოთ, როგორია კოოპერაციული წესი წარმოებისა და, მაშასადამე საწარმოვო იარაღი.

შრომის ახალი კოოპერაცია ჰქმნის ახალ დასებს და ახალ კლასებს. თავის მხრივ ახალი დასები და კლასები უფრო ნაკლებად მავნებელნი არიან შრომის კოოპერაციის ევოლიუციისათვის, მაშასადამე, შედარებით უფრო ხელს უწყობენ ამ ევოლიუციას, ვიდრე ძველი კლასები და დასები.

ახალი იარაღი უფრო ადრე ჩნდება, თუ ახალი დასი? მე ვფიქრობ, რომ ერთსა და იმავე დროს ჩნდებიან. რაკი ახალი იარაღი ჩნდება, მის მყრობელს ძალა და უფლებაც ემატება. დასი ნელ-ნელა იზრდება. იმავე დროს იზრდება მისი სიმდიდრეც. და როდესაც ახალი კლასი თავის გავლენითა და სიმდიდრით ძველ კლასს უსწორდება, მაშინ უცხადებს ამ უკანასკნელს სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლას,

როგორც ყველგან აქაც კატასტროფა, უცები ცვლილება მოხდება ხოლმე. საკმაოა მცირეოდნად გადიწიოს სასწორმა ახალ კლასისაკენ, რომ ასტყდეს ქარიშხალი. ახალი კლასსი არასოდეს არ მოახდენს ძველის კლასსის ლიკვიდაციას ნელ-ნელა.

დაგვრჩა გაურჩეველი ერთი საკითხი: რა უფრო ადრე ჩნდება; ახალი აზრი, თუ ახალი, კლასსი, ახალი საზოგადო წეს-წყობილება?

ზოგს ჰგონია, რომ ჯერ საზოგადო წესწყობილება ჩნდება და მასუკან ამ წეს-წყობილების თვისებას გაიგებენ ხოლმეო. რასაკვირველია, თუ გინდა რომ დაჭეშმარიტებით გაიგო თვისება რომელისამე საზოგადო ორგანიზაციისა, საჭიროა ეს ორგანიზაცია სუფევდეს. ბერინგის შრატის თვისების დაჭეშმარიტებით შესწავლა შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ მას უკან, რაც ეს შრატი მოგონილ იქმნა. მაგრამ ესეც ცხადია, რომ ამ შრატის გამკურნებელი ძალა და ღირსება დაახლოებით წარმოდგენილი ჰქონდა ბერინგს თეორიის მეოხებით, ვიდრე შრატს მოამზადებდა. საზოგადო წეს წყობილების შესახებაც ხშირად უწინასწარმეტყველებიათ ხოლმე მეცნიერებს. როდესაც ჯერ კაპიტალიზმი გამეფებული არ იყო, ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები ჰქადაგებდნენ ისეთს იდეალს, რომელიც თითქმის ასრულდა შემდეგ. მაშასადამე, აქაც იმავე მოვლენას ვხედავთ; აქაც ხან ახალი აზრი უსწრებს საზოგადო წეს-წყობილებას, ხან საზოგადო წეს-წყობილება უსწრებს ახალ აზრს. ორივე ერთმანეთის მიზეზია და ერთმანეთს ეთანხმება.

აქედგან სჩანს მარქსის ღვაწლი და მისი მნიშვნელობაც ხსენებულ საკითხის გარდაწყვეტაში. ეკონომიური გარემოება უპირატესობსო, აზრს წინ უსწრებს ეკონომიური ფაქტორიო, ამისი თქმა შეუძლებელია. მაგრამ სხვა-და-სხვა საზოგადო ფაქტორს შორის, რომ ორგანიული ერთობა, თანხმობა და შეფარდება არსებობს, ეს ღრმა ჭეშმარიტება არის ერთი უდიდესი ღვაწლთაგანი მარქსისა.

რაც შეეხება ტუგან-ბარანოვსკის, ვერ შეიგნო რიგიანად ეს აზრი მარქსისა, მეცნიერება სრულიად განაცალკევა სხვა ფაქტორებისაგან, მაშასადამე, დააშორა ერთმანეთს ორგანიულად შეკავშირებული ფაქტორები; ამის გამო არა თუ ვერ დაამთავრა ის შენობა, რომელიც მარქსმა აუშენებელი დასტოვა, არამედ მის დანგრევას ჰლამობდა, რასაკვირველია, თვისდაუნებურად.

ვასილ წერეთელი.

—

## დედინაცვალი

(ესკიზი)

სოლომონ ფერაძე კარგა ხანში შესული კაცი იყო, როცა სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ცოლი, მართა, მოუკვდა და სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთიც უფროსი ათის წლის ქალი, დარიკო, ობლად დარჩნენ. რადგანაც ობლებს და უქალო ოჯახს მომვლელი, პატრონი ეჭირვებოდა, ამიტომ ერთი წელიწადიც არ გაიყვანა სოლომონმა, აღარ იგლოვა მართა და მეორე ქალზედ ჯვარი გადიწერა.

„დედის ნაცვალი თვალში ნაცარიო“ იტყვიან, მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ სოლომონის მეორე მეუღლე, ლისა, წყნარისა და ლმობიერის მეტყველების თვალების პატრონი ადამიანი, ასეთი ღვთის-რისხვა რამ გამოდგებოდა!..

პირველ ორ-სამ თვეს არაფერი, ხოლო შემდეგ, როცა ცოტათი შეაჩვია ხელი პატარა უდედო ობლებს, დღე არ გავიდოდა, ხან ერთი და ხან მეორე არ მიეათქვა... საკმარისი იყო იოტის ოდენი მიზეზი, რომ გააფთრებული, გეზელ ქორივით, მივარდნოდა საცოდავ ბავშვებს და შავი დღე დაეყენებინა. ჯავრი სჭირდა მეტადრე დარიკოსი, რადგანაც თორმეტ-ცამეტის წლის ქალი, სირცხვილეულობდა გალახვას, უძალიანდებოდა და წინააღმდეგობას უწევდა. ამხანაგებს ხშირად უნახავთ „ჩაწეკვილ-ჩაღლეჯილი“, უპატივცემულო, გალახული, შეურაცხყოფილი, სახლის ოყოჯიროში მწარე ცრემლის მფრქვეველი დარია.

— რატომ გაუჩნდი დედას, ან რეიზა ცოცხლითვე მასთან არ დევიმარხე, თუ ასეთი უბედური ვიქნებოდი—გულ-ამოსკვნილის ტირილით ეუბნებოდა ამხანაგებს.

სიცოცხლე მობეზრებულ დაროს რა თქმა უნდა, ძმებიც ებრალებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა? მამა ხომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ისიც ისე უგულოდ ეპყრობდა, თითქოს მისი შვილები არ ყოფილიყვნენ. ის-კი არა, ერთს დღეს, თითონ მამამ ინება ხუთმეტ-თექვსმეტი სწლის გასათხოვარ ქალის ცემა. აი საქმე როგორ იყო:

დარიკო ბეოლით კალთაში ყაჭს აპურებდა, რომ ამ დროს ლისას სტუმრები ეწვია და დარიკოს პაზარში წასვლა უბრძანა.

— არა, მე ვერ წავალ, სხვა გაგზავნე,— გადაწყვეტით უთხრა დარომ.—ქვეყნის საიქმაოთ ვარ ჩაღლეტილ-ჩაწეკვილი და ასე ბაზარში მიშობ?!..

— ხომ კი ასე?!.. შენი ფეხი მაბანიე, თუ შენ მაგი ერთი ორად არ გადაგიხადო!...

დაექანდა დედისნაცვალი დარიკოს, აღუსრულა კიდეც; საღამოს, როცა სახლში დაბრუნდა მისი ქმარი, უამბო სოლომონს ყველაფერი:—შენმა ქალიშვილმა ასე და ასე სირცხვილი მაჭამა სტუმრებთან. ვინ იცის რა არ მიძახა, ისე გაუთაურდა ამხელა ქალი, რომ ჩემი აღარაფერი აღარ ეყურება, მაგას თუ შენ აფერი უთხარი, აქანეი ყოფნა მე აღარ შემიძლიაო,—ცხარობდა ვითომდა შეურაცხყოფილი ლისა...

სოლომონს გული მოუვიდა, გაცეცხლდა, იმ დღეს მაინც რაღაცაზე ერთობ გაჯავრებული იყო, წაავლო უდანაშაულო დაროს თმაში ხელი და შუადღეზე, მეზობლების თვალწინ, საქვეყნოდ, მწარედ სცემა.

— ძ—ის შვილი... თუ კაი ქალი ხარ, აწიც ნუღარ გაიგონეფ უმფროსის ბრძანებას!—დასძინა გაბრაზებულმა სოლომონმა და სახლში შევიდა.

ცოცხალ-მკვდარი, საქვეყნოდ თავ-ლაფდასხმული მამისაგან ნაცემ-ნაგვემი დარიკო იქვე ეზოს მაღალ ბალახებში ჩაეცა და მდუღარე ცრემლის ფრქვევით დაასველა მიწა და ბალახები.

— რა უყოთ, მამის ხელი-კი არ უნდა გეწყინოს,—ანუგეშებდნენ, ამშვიდებდნენ მეზობლის ქალები და ამხანაგები, მაგრამ ამაოდ; დარიკოს იმათი აღარაფერი აღარ ესმოდა. ჰფიქრობდა მხოლოთ იმას, თუ რა სჯობდა, რა უფრო ადვილი იყო თავის მოსაკლავად.

„ლევერი“ ყველას მირჩევნია, მარა სად ვიშოვნი?.. ღმერთო... ღმერთო... რა უბედური გამაჩინე... ჩემხელა ქალები თხოვდებიან... მე კი... მცემენ... საქვეყნოდ თავს მჭრიან. ნაღვლიანის ხმით სთქვა დარომ და მახლობელ მდინარისაკენ გაჰქანდა.

ღამე მთვარიანი იყო, საათის ათი იქნებოდა, დარიკოს ამოერჩია კიდეც სასიკვდილო, ღრმა და თან ჩქარი ადგილი მდინარისა, ნაპირიდან დამლოიავებული. ფიქრებში გართული დარიკო, მთვარის შუქზე ოქროს ფრად აბჭყრიალებულ მდინარის ნაზხეფებს დასცქეროდა.

— მშვიდობით, ძვირფასო და საყვარელო ძმებო... მაპატიეთ რომ გტოვებთ... თქვენს მეტი გულშემატკივარი მე არავინ მრჩება...მშვიდობით უმადურო, დედა-ჩემის ნაკვალ-ნაწყტაო ოჯახო... მშვიდობით, ამხანაგებო და მეზობლებო! თქვენც-კი გეცოდებოდით მარა რა შეგეძლოთ?!. რას იტყვიან, ჩემს დაკარგვის ამბავს, რომ გაიგებენ?.. რაც უნდათ ისა სთქვან... ჩემს სიცოცხლეს ხომ სიკვდილი სჯობია—გადაწყვეტით სთქვა უკანასკნელათ დარიკომ, თვალები „სახოცით“ აიხვია და მსწრაფლ, თავ-გამეტებით, მოწყვეტით გადაეშვა თოვლის დნობით ადიდებულ-აღქაფებულ მდინარეში.

მდინარე უცებ შეკრთა, შეშფოთდა, მაგრამ ადამიანზე უფრო მეტი თანაგრძნობა ისევ მდინარემ გაუწია დარიკოს, თავის ტალღებში გაიხვია, გულში ჩაიკრა და დასავლეთისაკენ გააქანა...

მეორე დღეს, დიდის ხნის ძებნის შემდეგ, მეზობლებმა დარიკოს გვამი, ორის ვერსის მანძილზედ იპოვეს.

ს. რემონიძე.

—

ჩევის შემდეგ აღარავითარ პირობის დადება არ შეიძლებაო“. კორესპონდენტი შეეკითხა; —ეხლანდელი სამინისტრო შეიცვლება, ან რაიმე რეფორმებს შემოიღებენ, თუ არაო? პეტრე მეფის მდივანმა ასეთი პასუხი მისცა: „ეგ კითხვები ჯერ-ჯერობით არ განუხილავს მეფის მახლობელ წრეებს, რადგან დრო არა ჰქონდათო. ის-კი ყველასათვის ცხადია, რომ სერბიას მეტად ეჭირვება რეფორმებიო. 1888 წ. კონსტიტუციის აღდგენა ერთი უმთავრესი ცვლილებათაგანია; პეტრე მეფე სერბიისათვის იქნება მხნე, წინდახედული და მტკიცე მმართველიო“. ამავე კორესპონდენტის სიტყვით ჟენევაში მცხოვრებ სერბიელებს შემდეგის შინაარსის ადრესი მიურთმევიათ მეფისათვის:

„მივესალმებით სერბიის ტახტზედ იმ მეფის შთამომავალის დამკვიდრებას, რომელიც კოსსოვოდან უდიდესი მეფე იყო სერბიისა. გულწრფელად ვეგებებით ხალხის მიერ არჩეულს და მის შელახულ უფლებათა და ჩამქრალ თავისუფლების აღსადგენად მიწვეულს მეფეს“. მეფე პეტრემ 60⁰-მდე მილოცვის დეპეშა მიიღო.

გაზ. „ნ. ფრ. პრ.“-ლს ბელგრადელი კორესპონდენტი იუწყება,—საბრალო დრაგას დები დიდს გაჭირვებაში იმყოფებიანო; ისინი შინაპატიმრად არიან დაპატიმრებულნი უფროს დის ქ-ნ პეტროვიჩის ბინაზე და სამხედრო რაზმი სდარაჯობსო. დებს არავითარი შეძლება არა აქვსთ. სასმელ-საჭმელს ახალი მთავრობა ჯარის კაცთა ხელით უგზავნის; გარდა ამისა მათთვის არაფერს მზრუნველობაში არიან. დედოფლის ქონება სახელმწიფოდ დარჩება და დებმა არ იციან რა მოელით მომავალში. ქ-ნ პეტროვიჩის ქონებაც სახელმწიფოდ გადავიდაო. სასახლის ნივთების აღწერვის დროს, მეფის განძეულობა და მათ შორის ხონთქრის ძვირფასი საჩუქარი, არსად აღმოჩნდა.

# ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

„Южн. Телеграфъ“-ში მოთავსებულია ფარმაცევტის მიხაილოვსკის წერილი, რომელიც ნათლად ასურათებს ფარმაცევტებისა და აფთიაქში მოსამსახურეების მეტად მწვავე და აუტანელ შრომის პირობებს.

„ყველას თქვენგანს არ ესმის, მკითხველო,—სწერს ავტორი,—თუ რას ნიშნავს ზურგმოუხრელად, მუდამ ფეხზედ დგომით, დილის 8 საათიდგან ღამის 10 საათამდე მუშაობა. მთელი 14 საათის განმავლობაში პასუხსაგები აუტანელი შრომა, სირბილი იქით-აქეთ, ოთახიდგან ოთახში ძნელია, და შეუძლებელი უვლადაფერი ეს, მაგრამ ასე კია! რა ბედნიერებაა, როცა ასეთი შრომის შემდეგ დაქანცული და მოღალული წამოწვები პირადმა და მიეცემი ტკბილსა და მშვიდ ძილს! მაგრამ.. მაგრამ სად არის დასვენება: მორიგობა აფთიაქში დუპავს ჩვენს საქმეს.

იცით, რას ნიშნავს მორიგობა? გამოგიცდიათ? ეს მტანჯველი, უძილო ღამეა, რომლის განმავლობაშიაც სულ უბრალო რამეზე აღებენ აფთიაქს და მოსვენებას არ გაძლევენ. რომელიმე ქალს გაახსენდება გზაში (სტუმრად იყო ვინმესას) კბილის საფერი ფხვნილი, პუდრი, ან და საპონი. ხანდისხან შემოირბენს რომელიმე სენიორი და იყიდის შაურისას რამეს ხუთ მანეთიანის დასახურდავებლად. სხვაც ბევრი უცნაური წამლებია, რომლებსაც მხოლოდ დამით ყიდულობენ აფთიაქში, დაუმატეთ ამას ისიც, რომ, რომელიმე გაჭირვებული ავადმყოფისთვის საჩქაროდ წამალია საჭირო. მორიგეობის შემდეგ ისევ მუშაობა, ისევ აუტანელი შრომა. ამის მაგივრად, რომ მორიგეობის შემდეგ ფარმაცევტი წავიდეს და მოისვენოს სახლში, ვალდებულია, მთელი დღე კიდევ იმსახუროს აფთიაქში. მხოლოდ მეორე დღეს, საღამოს, 36 საათის შემდეგ თავისუფალი. ეს საყოველთაოდ ხდება. ყველა აფთიაქი ასეთის რეჟიმის გავლენის ქვეშ იმყოფება. მაგრამ არის აფთიაქი, სადაც ორ დღე და ღამეს, 48 საათს ზედი-ზედ მორიგობენ ფარმაცევტები“.

ამის შემდეგ რაღა გასაკვირი უნდა იყოს, თუ უძილობით დაქანცული გონება დაბნეული აფთიაქში მოსამსახურენი რიგიანად ვერ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, რაღა გასაკვირია, თუ საწამლავსა და უებარ წამალს ურევდნენ ერთმანეთში.

—

„Рус. Слово“-ში დაბეჭდილია კრუშევანის უკანასკნელ საქმის შესახებ იაბლონოვსკის წერილი. ავტორი სწერს:

„კრუშევანი გაქრა, კრუშევანი მოკვდა. თავის გაზეთები სიკვდილთან ერთად აღმოხდა მას სული. ის ვერ წამოდგებოდა, ის ვერ გაიმართებოდა წელში, რადგანაც მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, დიდი შეცდომა იყო ისტორიის. ის არარად იქცა, ე. ი. იმად, რაიც იყო პირველად. თავის არარაობაზე პრასოდეს არ უყვია მას უარი.

უცბად განიზრახეს მისი მოკვლა და...

„კრუშევანიც აღსდგა მკვდრეთით. ასეთი პატივი სცა მას სტუდენტმა—ებრაელმა, რომელსაც სწადდა მისი მოკვლა“.

დიაღ, მკვლელმა აღადგინა მოკლული და დამარხული კრუშევანი. ახირებულია, მკვლელმა განაცოცხლოს და აღადგინოს თავისი მსხვერპლი. ახირებულია, მაგრამ ასე-კია. კრუშევანმა და მისმა კომპანიამ ფაქტი იგდეს ხელში ურიები ყველა მკვლელები და სისხლის მსმელები არიანო, დაიკივლებენ ისინი. მაგრამ აქ ურიოზა რა შუაშია, ებრაელმა სტუდენტმა შური იძია არა იმისთვის, რომ კრუშევანის წყალობით ებრაელები ამოწყვიტეს კიშინევში, არამედ იმისთვის, რომ დიდი უკანონობა და უსამართლობა დატრიალდა კიშინევში. კრუშევანის მოკვლა განიზრახეს ალბად იმისთვის, რომ ის მეთაური იყო ურიების აოხრებისა. უკანონობის წინააღმდეგ ყველამ უნდა გაილაშქროს ეროვნობის მიუხედავად, რადგანაც უსამართლობა და ძალმომრეობა ერთი რომელიმე ერის თვისებას არ შეადგენს, ის ინტერნაციონალური, კოსმოპოლიტურია. ამ შემთხვევაში შეიძლება კრუშევანის მოკვლის განმზრახველი რუსიც იყოს, ებრაელიც და ყველა. ებრაელმა სტუდენტმა მხოლოდ გადააჭარბა ფიზიკურად არ უნდა გასწორებოდა ის კრუშევანს, ეს მისი სისუსტეა, ეს მისი უკანონობაა, მაგრამ უკანონობა არა, როგორც ებრაელისა, არამედ ყველასი.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 ივნისს.

**ვენა.** მეფე, პეტრე მოვიდა საღამოს 10 საათზედ. ნახევარ-საათს გაჩერდა აქ მატარებელი. შეიკრიბა დიდ-ძალი ხალხი, თითქმის სულ სერბები. მეფეს მიეგებნენ ხმა-მაღლა „ჟივიოს“ ძახილით. ვაგონში მიღებულ იქმნა აქაური ელჩი სერბიისა. შემდეგ მეფე გამოვიდა ბაქანზედ, საცა ბურგომისტრმა სტრელკოვიჩმა მიულოცა ბელგრადის სახლით; შემდეგ მეფე მივიდა სერბიის სტუდენტების დეპუტაციასთან, რომლის წარმომადგენელმა მიჰმართა მეფეს აღფრთოვანებულის სიტყვით. მერე აქვე დაბრუნდა ვაგონში, დადგა სარკმელთან და მოისმინა სტუდენტებისაგან თქმული პატრიოტული სიმღერები. პატარა ქალმა გადასცა მეფეს თაიგული ყვავილებისა. მატარებელი განშორდა სადგურს და ისმოდა აღტაცებული ძახილი „ჟივიოსი“. რამდენისამე წუთის შემდეგ გაემართა ბელგრადის დეპუტაციაც. მეფესთან ერთად მიდის მისი ძმა არსენი მეილით და პრინცი გიორგი ყარა-გიორგიევიჩი. იტალიის ელჩი ბელგრადშია, მაგრამ დღესასწაულებზედ არ დაესწრება. ოსმალეთისა და ამერიკის ელჩნი წავიდნენ ერთი სტამბოლს და მეორე—სოფიას.

**კიოლნი.** როგორც ნამდვილად ამბობენ, გერმანიის ელჩი სერბიაში არ მიიღებს მონაწილეობას დღესასწაულებში და მეფის მიღების დროს. ელჩის უფლებანი უკვე გაუქმდა და, რადგან მეფე ჯერ კიდევ არ ასულა ტახტზედ, ეგ უფლებანი არც შეიძლება განახლებულ იქმნას.

**სოფია.** ბატაკას არე-მარეში ასამდე ოსმალთა ჯარის-კაცი გადავიდა ბულგარიის მიწა-წყალზედ; ბულგარიის სამხედრო სადარაჯომ, ესე 20-მდე ჯარის კაცმა იარაღით ხელში წინააღმდეგობა გაუწია. მოკლულ იქმნა 20 ოსმალთა და 4 ბულგარიის ჯარის-კაცი. ოსმალნი წავიდნენ.—გაზეთები იუწყებიან, რომ კიუსტენდილის მახლობლად გაჩნდა ოსმალთა არტილერიაო.—სერბიის მეფე დედოფლის გარდაცვალების გამო მთავარმა ფერდინანდმა 10 დღეს პრძანა გლოვა.

**ხარკოვი.** საგანგებო საგუბერნიო ერობის კრებამ გადასწყვიტა: მიეცეს ხარკოვის სამაზრო ერობას დასაზღვევ თანხიდან სესხად 10000 მ. მაზრაში ტელეფონის კასამართავად და 18,000 მან. სუმის მაზრას იმავე საგნისათვის.

**სოფია.** ყოველ ახალის კუნდის გამოჩენის და მისის დაძლევის შემდეგ ბაშიბუზუკნი სცარცვავდენ მახლობელს სოფლებს და აიძულებენ მშვიდობიან მცხოვრებლებს გადასახლდნენ ბულგარიაში, ადრიანოპოლის ვილაიეტიდან უფრო გაძლიერებულია გადასახლება; 3,000 კაცამდე უკვე გადასახლდნენ.

**პარიჟი.** დელკასემ აუწყა პალატას, რომ ხელმწიფე იმპერატორის სახელით მოუვიდა საფრანგეთის ჯარის მთავარ შტაბის უფროსს მოწვევის ბარათი, დაესწრით აღლუმს, რომელიც ცარსკოე სელოს მიდამოთა შორის იქნება 1—8 აგვისტოსა.

**იოკაჰამა.** სამხედრო მინისტრი კუროპატკინი კიდევ კიოტაში იმყოფება.

**ბელგრადი.** თუმცა ცუდი ამინდი იყო, მაგრამ დილიდგანვე დიდძალმა ხალხმა მოიარა თავი და სრულიად გაიჭედა ქუჩები, რომელზედაც მეფეს უნდა გაევლო თავის ამალითა და მხებლებით. ქუჩები მორთულია ბაირაღებით და მცენარე ყვავილებით. გამართულია რამდენიმე სტრიუმფო თაღი. დებარკადერზე ელოდდებიან მინისტრები, გენერლები, ქალაქის თვითმმართველობის საბჭო და საპატიო დარაჯნი მუსიკით, რომელიც ჩვეულებრივ ჰიმნის მაგივრად ეროვნულ ხმებს უკრავს, სადიპლომატიო კორპუსის წარმომადგენლთაგან, მხოლოდ ავსტრიისა და რუსეთის ელჩები ჩანან. სხვები არ დაესწრნენ. დებარკადერზე მეფეს მიესალმა ავაკუმოვიჩი, რომელმაც განაცხადა,—ერთხმად არჩევა მეფისა მოასწავებს თანხმობას მთელის ხალხისა, რომელსაც სწადდა ასეთ არჩევით პატივი ეცა დაუვიწყარ დიდ ყარაგიორგიევიჩის—სერბთა პირველ განმათავისუფლებელისათვის. ახალ მეფესთან ერთად ხალხი ეგებება ახალს ხანას, რომელიც ბრწყინვალე მომავალს უქადის სერბებსაო. სადგურის წინ ახალგაზრდა ქალებმა ყვავილებით მოჰფინეს მთელი გზა. მეფე ეტლში ჩაჯდა. მთელს გზაზედ საკრებულო ტაძრამდე ჯარი აღტაცებით ულოცავდა მეფეს. გზის აქეთ-იქით ჩამწკრივებული იყო 300 კორპორაცია მოქალაქეთა. ტაძარში პარაკლისის შემდეგ, მეფე გაემართა ახალ სასახლისაკენ, სადაც მას მიეგებნენ სკუპშჩინის წევრნი. დღეს საღამოზედ ჩირაღდნებით სეირნობა გაიმართება; ხვალ—დიდის ამბით ფიცის მიღება კონსტიტუციის ერთგულებაზედ სახალხო კრების წინაშე მოხდება. მეფე სერბიის გენერლის ტანისამოსში გამოწყობილი და სადღესასწაულო ეტლში იჯდა, რომელსაც ოთხი შავი ცხენი მიაქროლებდა. მეფეს გვერდით იჯდა ავაკუმოვიჩი. ხალხის აღტაცებულ მილოცვაზედ მეფე სამხედრო სალამს აძლევდა. ეტლს ნახევარი ესკადრონი ცხენოსანთა წინ მაუძღვოდა და ნახევარიც უკან მისდევდა. მეფეს თან მოჰყვა მისი დისწული ექიმი და საფრანგეთის პოლკოვნიკი ნენადოვიჩი.

12 ივნისი.

**მოსკოვი.** სახელოსნო გამგეობა ჰმართავს ხელოსანთა ბჭობას, რომ განსაზღვრონ სამუშაო დრო სახელოსნოებში.

**ბელგრადი.** ვოკზალზე აბაკუმოვიჩის მისალმების პასუხად მეფემ აღნიშნა იმ წუთის დიდი მნიშვნელობა, როცა მეფე თვისის ძვირფასის სამშობლოს მიწა-წყალს ეგებება 45 წლის განშორების შემდეგ.

**ბელგრადი.** მეფემ სთქვა ბელგრადის თვითმმართველობის წარმომადგენლის სიტყვის პასუხად, ვეცდები, რომ ბელგრადი ღირსი იყოს სერბიის ეროვნებისაო.—რუსეთის წარმომადგენლის ჩარიკოვის წარდგენაზედ, მანვე ბრძანა, მოხარული ვარ, რომ რუსეთის წარმომადგენელს ვხედავ, გამოვდგი თუ არა ფეხი სამშობლოს კარის ზღურბლსაო. ნაშუადღევს თავ ახდილ ეტლით მეფემ დაათვალიერა მორთული ქალაქი. ერი სიხარულით ეგებებოდა.

**ბელგრადი.** ქალაქი საღამოზედ გაჩირაღდნებულია. სასახლის წინ დიდი სიმრავლეა ხალხისა. ათის ნახევარზედ დაიწყო ჩირაღდნებით სიარული. წინ კავალერიის რაზმი მიდის. მეფე, გარშემორტყმული მინისტრებით, გამოვიდა აივანზედ და წაიკითხა სიტყვა: ჩვენის გვარის ანდერძთა თანახმად, ყოველ ღონისძიებით ვეცდები მივსცე ერს ის, რაც საჭიროა მისთვის. დიდი ძახილი „ჟივიო“-სი. 10 საათზედ ყოველივე გათავდა. დილით ათასი გასართობი იყო გამართული, იყო ცეკვა და სიმღერები. მეფეს ქალაქში სეირნობის დროს ახლდა ნაშიჩი, ალექსანდრესთან ადიუტანტად ნამყოფი მის ჯვარის წერამდე. მეფის სეირნობა უამალოდ ძალიან ესიამოვნა ხალხს.

**ბელგრადი.** როცა მეფე ვოკზლიდან ეკკლესიაში გაემართა, აქეთ-იქით იდგნენ კორპორაციები, სტუდენტობა, დაწესებულებათა მოხელენი, ჯარი და ხალხი, რომელიც სიხარულით ეგებებოდა მეფეს და გზას ყვავილებით უფენდა. სადღესასწაულო ეტლში მეფის გვერდით უჯდა აბაკუმოვიჩი.

**სტამბოლი.** ხმა გავარდა, რომ ვითომ შეთქმულობაა რამდენგანმეო. ამიტომ მთავრობამ მოჰმართა სალონიკის ვალის და მან უპასუხა, რომ ეგ ხმა მართალს არა ჰგავსო, მაგრამ მაინც დონის ძიებაა მიღებულიო.—ხილმი-ფაშა იწერება დეპეშით, 8 ივნისს დაპატიმრებულ იქმნა სალონიკის ვილაეტში 380 ბოლგარი, უსკიუბისაში—260, მონასტირისაში—460. კვლავ გასცა განკარგულება, მალე გამოიძიეთ ხოლმე საქმე დაპატიმრებულთაო და საჯაროდ გამოაცხადა, ვინც დააბრუნებს კომიტეტისაგან მიღებულ იარაღს, აღარ დაისჯებაო.

**ბუდაპეშტი.** ხელდერვარმა უკან წაიღო პროექტი რეკრუტების რიცხვის გამრავლებისა. ბანმა თავისი მინდობილობა კეთილად შეასრულა. სადამოზედ წავა ვენას და ყოველსავე აუწყებს იმპერატორს, ხოლო ხვალ დაბრუნდება და შეადგენს სამინისტროს.

**ბელგრადი.** ტაძარში მეფეს მიტროპოლიტმა სიტყვა მოახსენა. სასახლეში დაბრუნებისას მეფემ მადლობა გადაუხადა ყველას და ბრძანა გარკვევით, რომ საქმეებს მუდამ სკუპშჩინასთან თანხმობით განვაგებო. მეფემ ყველას ხელი ჩამოართვა. მთელი ქალაქი დიდს სიხარულშია.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა და ერევანს:** 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № $7/_8$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 2[illegible] წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, [illegible] მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 1[illegible] წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ:** დღის 3 ს. 8 წ.

## ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ.

14 ივნისსათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. სალაირ ჯაიანისა (დაბდ. გევეჭკორი) და ანიკო გეგეჭკორის საქმე.
2. ნესტორ ნეფარიძესი და ექვთიმე ტერეშჩენკოს საქმე.
3. დიმიტრი წუკაძისა და გიორგი და ფირან ჯილაურების საქმე.
4. თ-დ ვასილ გიორგის ძე მაჩაბლისა და თ-დ სალომე მაჩაბლის საქმე.
5. ანასტასია ჯემარჯიძისა და ალექსანდრე ქიტიევის საქმე.
6. თინათინ ბეჟანოვისა და ესტატე მუმლაძის საქმე.
7. თ-დ. გიორგი ანდრონიკაშვილისა და არტემ პეტრუსოვის საქმე.


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
**ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲨᲘ,**
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

**ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ**

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

**ᲒᲐᲠᲢᲔᲥ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ**

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.


## ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ

1 ივნისისა 1903 წლისა.

**ᲐᲥᲢᲘᲕᲘ.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | 11336 | 55 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ. | 32369 | 20 |
| III. | პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | 2000 | — |
| IV. | სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: 1157—76; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: 7927— | 9084 | 76 |
| V. | სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | 7283 | 19 |
| VI. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 292022 | 26 |
| VII. | სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით | 500 | — |
| VIII. | პროტესტ-ქმნილი ვექსილები | 1548 | 26 |
| IX. | განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვა. | 1611 | 65 |
| X. | გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. 16658—; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 35676—; გ) საქონელზედ 16760—; დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. 6964— | 76058 | — |
| XI. | დასაბრუნებელი ხარჯი | 118 | 75 |
| XII. | მოწყობა და მომართვა | 2068 | 44 |
| XIII. | კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 79881—01; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 25298—26 | 105179 | 27 |
| XIV. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 262 | 08 |
| XV. | სხვა-და-სხვა დებიტორები | 538 | 48 |
| XVI. | მიმდინარე ხარჯები | 7005 | 57 |
| XVII. | გარდასაცემი თანხა | 301 | 50 |
| | ბალანსი | 549287 | 96 |

**ᲞᲐᲡᲘᲕᲘ.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 812 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან | 89067 | - |
| II. | სათადარიგო თანხა | 8313 | 38 |
| III. | შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით 177374—93; ბ) ვადით 138931—12; გ) უვადოთ 500— | 316806 | 05 |
| IV. | გარდასაცემი თანხა | 4554 | 62 |
| V. | გარდასახდელი სარგებელი | 636 | 67 |
| VI. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 37 | 16 |
| VII. | წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად | 556 | — |
| VIII. | გადას ცემად მიღებული თანხა | 3000 | — |
| IX. | კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 45102—66; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 40384—50 | 85487 | 16 |
| X. | საგანგებოდ მიმდინარე ანგარიში ტფ. სახელ. ბანკის განყოფ. | 20000 | — |
| XI. | წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა | 3170 | 66 |
| XII. | წაუღებელი დივიდენდი 1902 წლისა | 4212 | 53 |
| XIII. | მიღებული სარგებელი | 13346 | 73 |
| XIV. | მოგება და ზარალი 1903 წლისა | 100 | — |
| | ბალანსი. | 549287 | 96 |
| | პასუხის-მგებლობა 812 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ. | 801603 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 8200 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ. | 7940 | 71 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 іюня 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.